



ნაბ. გ. ფირცხალავახი.

ნ ღ ღ ღ ღ ღ ღ ღ

— ვერ შეგიშვებთ, უმაწვილებო, უცხო პირების სცენაზე გასვლა სასტიკად აკრძალულია.

60/630

№ 17 სიცოცხლის თაილისი. გამოცემა ზალი XXXIV ფასი 2 გვე. 1956

ეპიგრამები

გულახლილი მკოთხველი

— ნუთუ შენ არ შეიძინე
ჩემი წიგნი, ამალია?
— როგორ არა, მეგობარო,
უძილობის წამალია!



უკინცივო კრიტიკოსი და უმჯობე გენიოსი

ქებით ცაში აიყვანა,
დასტოვა და წაშავდა.
გადმოვარდა საბრალო და
სასიკვდილოდ დაშავდა.



კომიტის ფიქრები

თუმცა ვართ ზრუნვით გარემოცული,
იციან ჩვენი წონა და ფასი,
ვერ გამიგია, რატომ არ გაჰყავთ
პარნასისაკენ ტრამვაის ხაზი?



დირექტორის დევიზი

დასტერ თუნდაც ქვემეხებით,
ოლონდ მე ნუ შემეხებით!



დუმილის ფასი

კარგ მომღერალს ფულს აძლევენ,
რომ მან ლალად იმღეროს.
ცუდს ორმაგად უნდა მისცენ,
რომ მან აღარ იმღეროს.



აკაკი ჭკადუა



— შენც დედა გეგია ამის შემდეგ! ბავშვს ქუჩაში აგდებ, კარგი რა უნდა ნახოს ქუჩაში?!

თვისაც გასაგები გახდება, რომ ჩვენი ბინის დაკეტვა უხერ-ხულია.

როგორ ამაღლებს კაცს მოყვასისათვის სიკეთის გაშევის გრძნობა! ბოლომდე ასე „აბალებულად“ გავატარებდი ამ ზაფხულს, რომ ერთ კვიატიან შემთხვევას არ დავემდაბლებინ ჩემი მაღლიერი მეზობლების თვალში.

მოხდა ასე: გათვალისწინებულებე ადრე ჩამოსულ ჩემს ოჯახს სახლში მოწყვია ახლადშექნილი მოსკოველი თანამოაგრძენი. მე ფეხბურთზე გახლდით. ჩემი მეზობელი, რომელსაც იმ დღეს თავისი სტუმრებისათვის გამომცვარ-შემწვარ-მოხრაკულებით, ღვინითა და ხილით გამოეტენა ჩემი მაცივარი, თბილისის ზღვაზე წასულიყო.

ქმრის ყურადღებით აღტაცებული ჩემი მეუღლე, როგორც იტყვიან, „ცასა სწორდა“, დასკენა, რომ მე აღალც მანქანებით გამეგო ჩემს ოჯახში ახლადშექნილი მეგობრების მოსალოდნელი მოსვლის ამბავი და თადარიგი დამეტია. მოეპატინა ახალი სტუმრები, გადმოელაგებინა ჩვენს მაცივარზი დალაგებული მეზობლის სანოვაგზ და, როცა შინ დავბრუნდი, სტუმრების მხიარულება უკვე ჭრის აზანზარებდა.

ელდა მეც. ცოლმა ამაყად წარმადგინა სტუმრებთან. მათ პურ-მარილი მიქეს, მაღლობა გადამიხადეს და მითხვეს, მოსკოვში რომ გამოიყო, უმცველად გვინახულეო. კიდევ მაღლობა ღმერთს, ბილეთები ხელში ჰქონდათ და მატარებელზე ჩამორჩენის შშით, დროზე დასტოვეს ჩემი ოჯახი...

დანარჩენის წარმოდგენა თქვენი ფართაზისთვის მომინდება!

ეს მიამბო სირცეხილისაგან გადაფირებულმა მელიტონამ, რომელიც მეზობლის სტუმრებისათვის სანოვაგის შესაძენად გარბოდა.



სახურაო



როგორ წაავო მან, ვინც ამ ზაფხულს დასასენებლად არ ყოფილა... ერთ-ერთ საზღვაო კურორტზე (არ ვასახელებთ, რადგან ისედაც ადვილი გამოსაცნობია). ის, ალბათ, ვერასდროს ვერ გაიგებს მდუღარე სიროპიანი წყლის გემოს, ობიანი პაპიროსის სურნელს, კაფეში დაკვეთიდ და ორი საათის ლოდინის შემდეგ მოტანილ ლაჟე კერძობის გემოს. თბილი დამუა ვებული ლუდის გამაგრილებელ მოქმედებას, მილიციელთა უაღრესად გულ-თბილ, კულტურულ და ჰუმანურ დამოკიდებულებას მოქალაქებისადმი — თუმცა ამ უკანასკნელის განცდა თბილიშიც შეიძლება და, რაც მთავრია, ვერ იგრძნობს პლიაუის იდილიას, რომლის ერთი დღე მე ჩაეიჭრე მაგნიტოფონის ფირზე, ჩემი იქ ყოფის დროს. აბა, ყურადღება, ვრთავ მაგნიტოფონს: ჩხრ... ჩხრ... ეს ზღვა ღლლავს.

ქვიშაზე გაწოლილი ახალგაზრდები ვიღაც ახალჩამოსულს ესალმებიან:

- აბა და მოსულაა...
- ბარო, ჯიგრებ!
- მოწყვე უნივერსიტეტში?
- ექვსი ქულა დამაკლდა.
- ვაკ, იღბალი არ უნდა? შარშანაც ვერე ცოტა დაკლდა.
- პლიაუე დასეირობს რძენარევ მურაბიან ჩაისფერ ხალათში გამოხვეული ექთანი.
- ექიმი, თავი მტკიცა.
- სად?
- სად და ჩრდილეთ აღმოსავლეთით. უბრალოდ მტკიცა, როგორ თუ სად?
- უბრალოდ წამლებს არ ვარიგებთ ჩენენ. ასეა მაგი.
- ექიმი, ყურში წყალი შემიკიდა და ვერ გამოვდენე.
- ცალ ფეხზე ინტუნავე?
- კი.
- საფეხქელზე ირტყი ხელი?
- კი.
- ყურზე ქვა თუ იყავუნე მიგრად?
- ვაკაუნე-
- სპიჩის ლერი თუ იჩიკინე ყურში?
- ვიჩიკინე, მაგრამ არაფერი გამოდის.
- აბა, მე რა გიშველო, გენაცვალე.
- გმადლობთ, ექიმი.
- არაფრის, გენაცვალე, ჩვენ მეტს კი არაფერს გაკეთებთ აქ, ჩვენი მოვალეობაა მაგი.

აი, ექთანი მიახლოვდება მე.

— პატივცემულო ექთანო, გთხოვთ ჩამაწერინოთ ფირზე ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ უწევთ მომსახურებას დამსენებლებს.

— დიდი სიამოგნებით, გენაცვალე.

აბა, მოვუსმინოთ, ამხანაგებო...

— ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო ექთანი გაემზდარიყავი, ჩემი ოცნება ასრულდა, ძალიან მიყვარს ავადმყოფები, ზოგიერთს ისე შევქვიე, რომ პლიაუე თუ ვერ ვხდეთ, დამხრჩალი მეონია.

ეს რაღა ამბავია, მთელი პლიაუი ფეხზე დადგა, ვიღაც იხრჩობა.

— სპასატელ!!!

— სადაა სპასატელი?

— ვაი უბრძლური...

— გაუშვით, სპასატელი მოდის.

„სპასატელი“ მოვიდა:

- რაშია საქმე?
- კაცი დაიხრჩო.
- ლურვა იცოდა?
- კაცო, რა დროს ეგ არის, კაცი არ ჩანს!
- რამდენი წლისაა?
- ორმოცისა იყო.
- ბავშვები ჰყავს?
- სამი გოგო და ორი ბიჭი.
- მალადეც, ძმაო, აბა ზოგიერთი გააჩენს ერთ შვილს და მორჩა... ვიპოვეთ. აგრძა.

წყლიდან ამოყავთ გაგუდული და გაბერილი კაცი.

— ფეხებით დაკიდეთ.

ეს „სპასატელი“ იძლევა განკარგულებას.

— არიქა, თვალები გაახილა.

— მიმიშვით ერთი მაგასთან. შენ, ძმაო, რომ გაგიშვერია ხელი და შესულხარ ამ ზღვაში, სიროპიანი წყალი ხომ არ გონია? მეორევერ არ გაბედო დახრჩობა, თორემ მერე სხვანაირად მოგივლით. ხალხი აქ დასასენებლადაა ჩამოსული, სანერვიულოდ კი არა.

— ბოდიში, ბატონ.

— შენი ბოდიში გადაიყარე თავზე.

ვუახლოვდები ქოლგის ჩრდილში წამოსარებულ ორ ჩასუქებულ

ძიას, ესენი ჩემი ძევლი ნაცნობები არიან, რომელილაც სამინისტროში მუშაობენ.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს!

— თვენი უფროსი არ წამოსულა წლეს ზღვაზე?

— ზღვაზე არ წამოსულა, მაგრამ წლეს ისე აქვს საქმე, რომ თბილისშიც კარგად გამავდება და გაძრება ტყავი.

— ჰორო...

აი სხვა მოკამათე წყვილი. აბა მოვუსმინოთ რაზე კამათობენ:

— აგია, ბიჭო, ღმერთითი ვაცხოვრებ ცოლ-შვილსორ?

— რავა, შე კაცო?

— რავა და აერ არ ვხდავ ტიტლიკანები რომ დეიარებიან?

— აქ ზღვაა, ჩემო ძმაო.

— მეც მაგას გეუბნები; ზღვაა, აბანი კი არა.

თვენი ალბათ გესმით დოლარმანის გუგუნი და გაბჭარული ჭიხვინ. ეს პლიაუის პაგილიონის დამკურელები არიან. კიბოსავით გაწითლებული მედოლე თვალებდაჭყეტილი, კისრმოლრეცილი და გაგუდული დილიდან საღამომდე იქაჩება:

„ტოროლა ჭარ ალიონზეევე...“

— შეხედე, მართლა ტოროლას არ გავს? — ეკითხება ერთი მეორეს

— ძალან გაეს.

„მაპატეე, გოგოებოოო...“

— გეყოფა, ტოროლ, გაპატეე.

ერაზმან გულაჩუებული გოგოები, მაგრამ ტოროლას არა სჯერა.

ზღვა ღლლავს. თაკარა მზე ცახცახებს. ხალხი ბრუნავს და იბრაწება, სილაზე გაბრეული პაპიროსის ნამწვევები, მსხლის და ვაშლის ნარჩენები, ჭყინტი ტაროს ჭურჩები, ატმის წვეტიანი კურკები, დაუბრჩილი გასე-თები, ბოთლის ნამსხვევები, სხვა ნაგავთან ერთად, ერთვარ საკურორტო იდილიას ჰქმნიან. შაბაი, რომლის ქვეშაც მარილიანი ტანი უნდა გაი-ბანონ დამსენებლებმა, უმარილოდ იცრემლება. მზე იხრება და აღმაცე-რად იყურება, პლიაუი ცარიელდება.

პი... პი...

ამეამად ჩენენ ავტობუსების გაჩერებაზე ვიმყოფებით.

— მიაწევე!

— არ გაუშვა წინ!

— მოყუჩიდი?

— კი!

— ადგილი დაუთმე მოხუცებულს.

— გიში ხომ არ ხარ?!

— სირცევილია, ფეხზე დგას.

— არა უშავს, გაიზრდება.

— ბილეთები შეიძინო!

— მომეცით ადინ პო ტრიცატ.

— წავედით!

— აბა და წასულაა...

— ვინ წასულა, რა წასულა, საიდან წასულა, ბიძიკო? — მეყითხება გაოცებული დამსენებელი.

— ხელიდან წასულა, ბიძა, — უკასასხებებ მე.

მზე ზღვაში ეშვება. ასე იხრჩობს იგი ყოველ ღამე თავს, მაგრამ დალით მაინც ამოდის იმ იმედით, რომ ეს სურათი აღარ დახვდება. მაგრამ აერჯორიბით ვერ მიართვეს.

ჯვები ღუგგაბა



— ექიმო, ტკიფილები ისე მაწუხებს, ლამის თავი ზოგიცა.

— ძალიან გთხოვთ ჩემს ფუნქციებში ნუ ერევით.

պարզ
Ա Մ Ձ Լ Ո Ւ



— უკაცრავად, კბილის ფხვნილი ხომ არ გეენებათ?

፩፻፻፭፻፭፻

1946.8.19.60

ବ୍ୟାଙ୍ଗଳୁ

— ८०१६.

— დამუშავდეთ, გდიანთი — გადასატურ-
ბო და გამოსატურ პატიონის გამომართა, საწილა ხელ-
ადგი გაუმდებარებოდა ჭალალიტი და გადასატურ-
ბო და გამოსატურ ლავაზია, ეს მინდე შეკვეთთა
და გადასატურ გამოსატურ ასე... ამ ყავა-
მოსატურ და ლურჯლილის ასე აღა აღ-
მოსატურ და გადასატურ ასე აღა აღ-
მოსატურ და ლურჯლილის ასე აღა აღ-
მოსატურ და გადასატურ ასე აღა აღ-



კურნალი „ურბეიგელი“ (გერმანია)



ԵՍՐՆԱԼՈՒ „ՊԼԱԿԱՐԱ“ (ՀԱՅԹԱՐՈՒ)

ଗମିତେବୁନ୍ଦିରେ? — କି କିମ୍ବା ହୀଲୋପିଶ୍ଵାର୍ଦ୍ଦ ଠିଲ୍‌
ଲ୍ୟାଙ୍କିପାର୍କରେ?
— ଶ୍ରୀଲଙ୍କାର ଅଶ୍ଵାରାଜ୍ଯ, ମିଳି ଶରୀରକଥାରେ...
ଏହାରେ ଶରୀରକଥାରେ ଠିଲ୍‌କିମ୍ବାରେ?
— ଏ ଗୁରୁତବ?
— ଗୁରୁତବ... କୁଣ୍ଡଳିକାର ପ୍ରକାଶକ, — ଏକବ୍ୟାଙ୍ଗ
କେବଳ ବିନ୍ଦମାର୍ଗରେ ଉପରୁଷ୍ଵା କରିବାରେ
— ଏବେ ଶରୀରକଥାରେ ଗୁରୁତବ, କିମ୍ବା
ଏହା ଶରୀରକଥାରେ... ଏହାରେ ଠିଲ୍‌କିମ୍ବାରେ?


ରୂପରୀତିକାମନାରେ ଦିଗ୍ବିଜ୍ୟାଲ୍ଲମ୍ବନ୍ତ ଶୈଖରଣରେ
ଦେଖିଲୁଛି ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା
— ହୋଇ ଏ ଗ୍ରାମ୍—, ଗ୍ରାମ୍ରମ୍ଭାଦ୍ୟ କେବୁନିଦିଃ
— ଶେଷକୁଳୋ! ଦେଇଲୁବାଲାଙ୍କ ଶୂନ୍ୟବିଶ୍ଵମିତି—
ପ୍ରମିଳିକାରୀର ଦେଇଯାଇ ମୁଦ୍ରାବିଧି ସଂଗ୍ରହ ଦିଲେ
ଚିକ୍କପୁରୁଷଙ୍କର ଦ୍ୱାରା ଏ ଉପର ବିମ୍ବ ଦେଇ ଦେଇ
ଶେଷକୁଳୋ ଗ୍ରାମ୍ରମ୍ଭାଦ୍ୟର ଦ୍ୱାରା
— କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

A cartoon illustration of two men in white lab coats and red-striped ties. The man on the left wears glasses and points towards a large, simple building with a gabled roof and a small arched entrance. The man on the right has a mustache and also points towards the same building.

— රා මෙදගිරියා?
— ගාරුදුරුහ්ම් ජේවුම්ලාත, මිංචාලෝ කාපිස් ජුදෝ මෙම්ප්‍රේ.
(පොලන්ත්‍රා)



ალბანეთი



ବିଷୟରେ—“କ୍ଷୁଣ୍ଣତା” (ଫାନିଦା)



૬૨૮૧૦૩

ଶୁଣଗିରେ କ୍ଷୁଣ୍ଣାନ୍ତିର୍ମୁଖ ପଥରେହୁଲୁ ନରଜିତିରେ ଦର୍ଶନ ଦିଲୁ
ଦିଲୁକରିବାରେ କ୍ଷୁଣ୍ଣାନ୍ତିର୍ମୁଖ ପଥରେହୁଲୁ ନରଜିତିରେ ଦର୍ଶନ ଦିଲୁ
ନିମ୍ନାଳ୍ପରି କରୁଥିଲୁଗାପାଇଁ ପରିଚିତ କ୍ଷୁଣ୍ଣାନ୍ତିର୍ମୁଖ ପଥରେହୁଲୁ
ଲୁଗାପାଇଁ ତୁମାର ପଥରେହୁଲୁ ନରଜିତିରେ ପାଇଁ ନିମ୍ନାଳ୍ପରି କରୁଥିଲୁ
ପଥରେହୁଲୁ ନରଜିତିରେ ଦର୍ଶନ ଦିଲୁଗାପାଇଁ କରୁଥିଲୁଗାପାଇଁ

„ნიუნგის“ კარენერაი
(1956 წ. სექტემბერი)

თარიღები	წარსული, აზმო და მომავალი მოვლენები	კალენდრის დაზიარება
1 სექტემბერი შაბათი	1926 წელს — მუშტაიდის ბალში (დღევანდელი ორჯონიშვილის სახ.) საბოლოოდ შემოისახლერა გასართობთა სახეობანი (მრუდე სარკე, საქანელა) (30 წლისთავი).	მხე ამოდის დილის 6 ს. 24 წ. და ანაზებს ცეკვა გაუჩემონტებელ სკოლის შენობას. ჩადის სალამოს 7 ს. 39 წ. და მწა- რედ ქადანის ბლევის სანაპიროზე მობანავე სტუდენტებს, რომლებიც ლექციებზე არ გამოცხადდნენ.
2 სექტემბერი კვირა	- პირველი კვირა დღე ახალმილე- ბულ სტუდენტებისათვის. - 30 წლის შემდეგ, 1986 წლის 2 სექტემბერს დამთევრდება ვაკის სტადიონის მშენებლობა.	თალენტიანი (ისტორიული ცნობა) ტალენტიანი კოჭილი იყო, მაგრამ ძალ- ლიც იყო ლიპლობაზაში. ძალი კოჭ- ლობით არ მოკვდება, მაგრამ მანც გარდაცვალა 1769 წელს (დაიბადა 1825 წლის). რიცი როლი, ითამაშა ნა- მოლენის ბორბარტობაში.
3 სექტემბერი ორშაბათი	კინო-სპექულანტთა დღე სასწა- ული (სალარობან სპექულანტთა ჯი- ბებში კინობილეთების გადატანითი მინშენელობით). — ამ დღეს იპერის შენობაში ტა- დებოდა სიმურნიური კინცურტები.	ამ დღეს მთვარე არ ამოდის (კინო-სპექულანტთა დასახმარებლად).
4 სექტემბერი სამშაბათი	აღმოჩენების დღე ზოგიერთი კოლმეტრნების თავ- მჯდომარე აღმოჩენს, რომ შემოდ- გრმა დადგა.	ამ დღეს სპორტული ტალანტის გა- მოინსტუტუტში ჩარიცხული სტუდენ- ტები დაამყარებენ ახალ რესპუბლიკურ რეკორდს ლექციების გაცენაში.
5 სექტემბერი ოთხშაბათი	დაიღო ხელშეკრულად — ლუდის გამყიდველებსა, რძის გამყიდველებსა და ლვინის სარდაფის გამგებებს შორის წყლის გეგმაზომიერად განაწილების შესახებ (1956 წლისთავი).	ახალ მთვარესავით გამოჩნდე- ბა მალაზიებში ყურძნის წვერი და და- ლამებისას გაქრება.
6 სექტემბერი ხუთშაბათი	ოციოდე წლის წინათ პირველად ჩატარდა ფეხბურთის მატჩი ხუთშაბათ დღეს (სამუშაო საათებში) და დაწესე- ბულებათა თანამშრომლებმა სამსახუ- რის საქმეები მიასუთშაბათეს.	როგორ გავაკეთოთ ქალალდის ქუდები? (ფეხბურთის გულშემატყივართა დასამარებლად) თუ თქვენ აღმოსავლეთ ტრიბუნის ბილეთი შეიძინეთ, სიცხისაგან თავის ასარიდებლად იყიდეთ სამი ცალი „ფეხ- ბურთის პროგრამა“, გადადით დასავ- ლეთ ტრიბუნაზე, გააფინეთ კაბეზე და დაჯექით. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ თავი ქუდში გაქო.
7 სექტემბერი პარასკევი	რესტორან „გემიში“ შეარედ იყბი- ნება შემოდგომის ბუზი, როგორც ცო- ცხალი, ისე სადილთან ერთად მოხარ- შული.	მხე ამოდით მშობლებს, რომ- ლებმაც პროტექციით მიაღებინეს თა- ვიანთი შვილები უმაღლეს სასწავლებ- ლებში. ჩადის იანვრის გამოცდების შემდეგ.

ვარსკვლავთმრიცხველი, ხეალიკო დღევანდლაძე

ვინც კი გაიცნო, მწყრალად თქვა:

შეუწყობელი კაცია;

ლანგდავნენ, ისმენს და, თითქოს

სმენის უნარი არც კი აქვს:

თან გითომ უკვირს, რომ გრძად

შეხვდა მისუბურ ხანია, მ.

მუდამ სამსახურს დაეცეს

ახალს და დიდხელფასიანს.

ნახაგს და გაანიავებს,

ხელმისაწვდომი რაც კი აქვს,

ისევ ახალზე ცცნებობს.

რომ შეუთვისოს ხასიათს.

ცოლს ითხოვს, პირველ წელიწადს

მის თვალში დიდი ფასი აქვს.

დრო გადის, ვერ ეთვისება

თანდათან ცოლის ხასიათს.

კვლავ ახალს ეძებს საცოლედ,

ისეს, ქისა რომ საქსი აქვს.

ლხინში თან დასდევს ნეგობარს,

მღერის, ხალისით საქსეა,

ცდილობს, რომ ბოლო მოუღოს

მის უკანასკნელ «ასანსა»,

დაახარჯვინებს და შემდეგ

ეძებს კელავ ახალ ხასიათს.

გულში იცინის, თავის თავს

უწოდებს «კვაჭს» და «შანსიანს».

თუ საღმე შეგვდათ, შეგჩივებდა:

«ვერ შევეთვისე ხასიათს».

ზოგი შარამილი

სახაველი ნაკვესები

— საწყობში მაციორები მოპქონდათ და
საწყობის გამგე გამწარებით გაიძა-
ხოდა — აქედან ნუ გავიტან, ხელს
მოვითბობო.

— არტელის თანხაშემოჭმული ბუღალ-
ტერი ისე დაბნეულიყო, რომ გამო-
სავალს შემოსავალში ექცდა.





— ვაჟი ქალს ნიშნავდა, ქალის მამა
კი — ვაჟი... (სამსახურში).


— მუსიკალური სასწავლებლის თანა-
მშრომელს ისეთი სმენა აღმოაჩინდა,
რომ დირექტორის ფეხის ხმასაც კი
აჰევებოდა ხოლმე.

— უცნაური იყო: გასტრონომში სან-
თელი თვალსა და ხელს შუა ქრე-
ბოდა და მომხმარებელი ენთებოდა.

— გამდლელებს წუურვილისაგან ხახა
უშრებოდათ, გამყიდველი კი იდგა
და «თვალს წყალს ალევინებდა».

არლი თაყაიშვილი






ძლიერ უყვარს „ობილიხი“



თავს ეკლება ისტორიულ ძეგლებს



რაინდია



ვერ იტანს მტვერს



გატაცებულია სპორტით

რედაქტორი—ვასტანგ ჭელიძე.


სარედაქტო ქოლეგია: ა. ბელიაშვილი, თ. გიგინეიშვილი,
გ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჭავი.

ხაჭ. კპ ცენტრალური
კომიტეტის
გამოცემლობა


Тбилиси. Сатирико-юмористический журнал «Нианги». Редакция и рисунки: Миссамашвили; рисунки Евгения Зарубиной. № 42. Цен. 3-10-49

გამომ. № 17, ხელმოწ. დასა. 14/XI-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტაბა, ზარჯანიშვილის ჭ. № 5.

შეკვ. № 1007. უფ 05355. ტირ. 25.000.



— აქ ყოფილა დირექტორი, შოთერი ელოდება!



— აქ გახდავთ, შოთერი ელოდება...